

# უმალლესი მანიფესტი 1801 წლის 12 სექტემბრისა<sup>1</sup>

[დამტკიცებული რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის მიერ,

საქართველოში ახალი მმართველობის შემოღებისა და ერთგულების ფიცის დადების შესახებ]

წყალობითა ღმრთისათა, ჩვენ, ალექსანდრე პირველი, იმპერატორი და თვითმპყრობელი ყოვლისა რუსეთისა და სხვათა და სხვათა და სხვათა...

განვუცხადებთ სრულიად ქართველთა სამეფოს მცხოვრებთ, ვისაც ამისი ცოდნა ევალება.

რუსეთის იმპერიის მფარველობითი მისია და უზენაესი ხელისუფლება რუსეთის მონარქებს ქართველთა სამეფოს დაცვას ყოველთვის ავალდებულებდა. 1796 წელს, როდესაც აღა-მაჟმად-ხანი თქვენს ქვეყანას თავს დაესხა, ან ღმრთისა მიერ განსვენებულმა იმპერატორმა, დიდმა დედოფალმა ეკატერინე ალექსის ასულმა, თავისი ჯარის ნაწილები გამოაგზავნა. მაშინ ეს არა მხოლოდ ქართველთა სამეფოს გადარჩენისთვის იყო გამიზნული, არამედ კასპიის ზღვის ნაპირებიდან დაწყებული, მდინარე მტკვრისა და მდინარე არაქსის მიდამოებამდე ყველა მხარისა და ხალხების დამორჩილებისთვის, რაც თქვენ ყოველგვარი საფრთხისგან დაგიცავდათ; მხოლოდ ისლა იყო დარჩენილი, რომ შინა საქმეთა კეთილად განგების შემდეგ თქვენი კეთილდღეობა საუკუნოდ განგვემტკიცებინა, მაგრამ სპარსეთიდან, სომხეთიდან და თქვენი საზღვრებიდან რუსეთის ჯარის მოულოდნელად და ანაზდეულად უკან დახევამ, თქვენი სამართლიანი მოლოდინი არ გაამართლა.

თქვენ მიერ გადატანილმა ყველა შემდგომმა განსაცდელმა – ურჯულოთა და უცხოტომელი ხალხების თარეშმა და შემოსევებმა, ქალაქებისა და სოფლების აოხრებამ, თქვენი მამების, დედების, ცოლებისა და შვილების დამონებამ და ტყველ წაყვანამ, დაბოლოს, სამეფო სახლის განხეთქილებამ და ხალხის დაყოფამ სამეფო ღირსების სხვადასხვა მაძიებლის მომხრებად და მოწინააღმდეგებად, შინაომებში ჩაგითრიათ.

თქვენ გარშემორტყმული იყავით ბარბაროსი ხალხებით, რომლებიც მზად იყვნენ თავს დასხმოდნენ თქვენს სამეფოს და მისი დანაშობი დაუსჯელად დაეგლიჯათ. ყველა ბოროტი ძალის გაერთიანების შედეგად აღგვილი იქნებოდა „პირისაგან მიწისა“ არა მხოლოდ ხალხი, არამედ ქართველი ერის სახსენებელიც, რომელიც თავისი სიმამაცით მთელ აზიაში განთქმული იყო. ამ უფსკრულის წინაშე მდგომთ, არაერთხელ გითხოვიათ რუსეთისთვის მხარდაჭერა და მფარველობა. ჩვენი ჯარების შემოსვლამ და ავარიელი ომარ-ხანის დამარცხებამ არა მარტო კავკასიის მთებში მცხოვრები ყველა დამტყრობელი, არამედ ისინიც, ვისაც სპარსეთისა და დიდი სომხეთის მიწა-წყლის წაგლეჯა სურდა, დააშინა და თქვენ განადგურებისგან გიხსნათ. შეთქმულებები და აჯანყებები შეწყდა და თქვენ რუსეთის ხელისუფლებას ერთსულოვნად და საზემოდ მოუწოდეთ, რომ თქვენი პატრონობა უშუალოდ ეთავა.

ჩვენ, გვაკურთხეს რა რუსეთის ტახტზე იმპერატორად, რუსეთთან შეერთებული ქართველთა სამეფოც გადმოგვეცა, რასაც ყველასთვის ცნობილი 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტი მოწინდებს. შევისწავლეთ რა თქვენთან არსებული ვითარება, დავრწმუნდით, რომ საქართველოში რუსული სამხედრო ძალების ყოფნა არის ამჟამადაც შემაკავებელი ჩვენი ერთმორწმუნე ხალხის სისხლისლვრისა და საბოლოო განადგურებისა, რაც თქვენი მოსაზღვრე ბარბაროსი და ურჯულო ხალხების მხრიდან გემუქრებათ.

ჩვენ ასევე გვსურდა გავვერკვია, ჩვენი მფარველობის ქვეშ ხომ არ არსებობდა თქვენი პირვანდელი მმართველობის აღდგენისა და ქვეყნის სიმშვიდისა და უსაფრთხოების შენარჩუნების შესაძლებლობა. მაგრამ ამ საკითხის კვლევამ ჩვენ საბოლოოდ დაგვარწმუნა, რომ, ადამიანური თვალსაზრისით, ჩვენთვის ერთნაირად ძვირფას, ქართველი ხალხის სხვადასხვა ნაწილს, დევნისა და შურისძიებისა სამართლიანად ეშინია სამეფო ღირსების იმ მაძიებელთა მხრიდან, რომლებსაც შეეძლოთ ძალაუფლების მოპოვება; ვინაიდან ხალხის დიდ ნაწილს ისინი აშკარა მოწინააღმდეგებად

<sup>1</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, изд. Ад. Берже, т. 1, Тифлис, 1866. С. 432-433 (док. 547). თარგმნა თამარ ფანცულაიმ, რედაქტორი – ბერი გიორგი(რუხაძე).

მიაჩნდა. ამისა შესაძლო შედეგების წარმოდგენაც კი შფოთს გამოიწვევდა და საფუძველი გახდებოდა შინაომისა და სისხლისღვრის დასაწყებად.

გარდა ამისა, ყოფილმა ხელისუფლებამ თვით მეფე ერეკლეს მეფობის დროსაც კი, რომელმაც თავისი სულის ძლიერებითა და ღირსებით გააერთიანა ქვეყანა ერთპიროვნული მმართველობის ქვეშ, ვერც საგარეო და ვერც საშინაო უსაფრთხოების განმტკიცება ვერ შეძლო; პირიქით, რამდენჯერ აღმოჩენილსართ თქვენ ჩათრეული ბოროტების უფსკრულში, რომლის პირას ახლაც დგასართ და რომელშიც, ყველა მოსაზრებით, უნდა გადაიჩეხოთ, უკეთ სამართლიანი ხელისუფლების ძლიერი ხელი არ შეგაჩერებთ და გადაჩეხვის საშუალებას არ მოგცემთ.

ამ ვითარების სირთულემ, თქვენი გონების განწყობამ და ქართველი ხალხის ღალადისმა, გვაიძულა, არ დავტოვოთ და განსაცდელს მსხვერპლად არ შევნიროთ ერთმორწმუნე ერი, რომელმაც თავისი ხვედრის დაცვა სულგრძელ რუსეთს მიანდო. თქვენში აღძრული იმედები ამჯერად გამართლდება. – არც გასაძლიერებლად, არც სარგებლისთვის, არც ქვეყანაზე ისედაც ყველაზე დიდი იმპერიის საზღვრების გაფართოებისთვის ავიღეთ ჩვენს თავზე ქართული სამეფოს მმართველობის ტვირთი; – მხოლოდ ღირსება, მხოლოდ პატიოსნება და ადამიანობა გვაკისრებს ჩვენ წმიდათაწმიდა მოვალეობას, შევისმინოთ შეჭირვებულთა ვედრება და მათი მწუხარების გასაქარვებლად დავაწესოთ საქართველოში მმართველობა, რომელიც შეძლებს ქვეყანაში დაამკვიდროს მართლმსაჯულება, პირადი და ქონებრივი უსაფრთხოება და თითოეული ადამიანისთვის უზრუნველყოს კანონის დაცვა. ამიტომ, ავირჩიეთ რა ჩვენი გენერალ-ლეიტენანტი კარლ კნორინგი თქვენს მთავარმართებლად, მივაწიჭეთ მას უფლებამოსილება, ჩვენი სახელით გამცნოთ ახალი მმართველობის თაობაზე, რათა ჩვენ მიერ მიღებული დადგენილება ძალაში შევიდეს და რომლის აღსრულებაში თანამონაწილეობისთვის მოწვეული იქნებიან ნდობით აღჭურვილი თქვენი ღირსეული წარმომადგენლები. ვიმედოვნებთ, რომ ახალი მმართველობა მისაღები იქნება თქვენთვის და ჩვენი მფარველობის ქვეშ თავდაპირველად მოიძოვებთ სიმშვიდესა და უსაფრთხოებას, შემდეგ კი კეთილდღეობას, სიუხვესა და დოვლათს.

ჩვენი ბრძანებით, თქვენი მიწის გამოსაღები მთლიანად თქვენ დაგრჩებათ და თქვენს კეთილდღეობას მოხმარდება. რაც შეეხება ხელისუფლების შესანახად გამიზნულ თანხებს: რაც დარჩება, აოხრებული ქალაქებისა და სოფლების აღდგენას უნდა მოხმარდეს. ყოველი თქვენგანი შეინარჩუნებს წოდებრივ უპირატესობას, მიიღებს რელიგიური მოთხოვნილების თავისუფლად დაკმაყოფილების უფლებასა და საკუთრების ხელშეუხებლობის პირობას. უფლისწულებს დარჩებათ თავიანთი საუფლისწულო მამულები, გარდა წართმეულისა; ხოლო მამულებიდან წლიურ შემოსავალს, თუკი დადებულ ფიცს არ გატეხენ, სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ, ფულის სახით მიიღებენ. თითოეული თქვენგანისადმი გამოვლენილი დიდსულოვანი მზრუნველობის სანაცვლოდ ჩვენ მოვითხოვთ, რომ თქვენ, სათანადო ფორმით, ახალი ხელისუფლების აღიარებისა და დამტკიცების დასტურად, ქვეშევრდომობისა და ერთგულების ფიცი დადოთ, რომელიც ამ დოკუმენტს თან ერთვის. სასულიერო პირებმა, როგორც სულიერმა მოძღვრებმა, სხვებს პირველებმა უნდა მისცენ მაგალითი.

დაე, ბოლოს და ბოლოს, თქვენც შეიცნოთ კეთილი მმართველობის ფასი. დაე, დამკვიდრდეს თქვენ შორის მშვიდობა, მართლმსაჯულება, როგორც პირადი, ასევე ქონებრივი უსაფრთხოება; დაე, აღმოიფხვრას თვითნებობა და ულმობელი წამებები; დაე, თითოეულმა თქვენგანმა საკუთარ და საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე იზრუნოს, თავისუფლად და ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე განავითაროს მიწათმოქმედება, რენვა, ვაჭრობა, ხელსაქმე – კანონის ფარგლებში, რომელიც ყველას თანაბრად დაიცავს. ჩვენთვის საუკეთესო და ერთადერთი ჯილდო თქვენი სიუხვე და კეთილდღეობა იქნება.

მიღებულია სატახტო ქალაქ მოსკოვში, 1801 წლის 12 სექტემბერს.

დედანი ხელმოწერილია საკუთრივ მისი საიმპერატორო უდიდებულესობის მიერ ასე: „აღუქსანდრე“.

დაბეჭდილია მოსკოვში, სენატთან [არსებულ სტამბაში], 1801 წლის 20 სექტემბერს.

## ფიცის ალთემა<sup>2</sup>

მე, ქვემოთ დასახელებული, ყოვლისშემძლე ღმერთისა და მისი წმინდა სახარების წინაშე ალთემას ვდებ და ვფიცავ, რომ მსურს და მმართებს სიცოცხლის დაუზოგავად, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ერთგულად და პირუთვნელად ვემსახურო მის საიმპერატორო უდიდებულესობას, დიდ ხელმწიფე იმპერატორ ალექსანდრე პავლეს ძეს, სრულიად რუსეთის თვითმყრობელს და მის საიმპერატორო უდიდებულესობას, სრულიად რუსეთის ტახტის მემკვიდრეს, რომელიც დაინიშნება და ყველაფერში დავემორჩილო მის უზენაეს ნებას. მისი უდიდებულესობის ხელისუფლების მიერ უკვე მოქმედი და ამას იქით გამოცემული ყველა კანონი და განკარგულება აღვასრულო და დავიცვა სათანადო მორჩილებით, ზოგი კი განსაკუთრებული გაგებით, შეგნებულად; მისი საიმპერატორო უდიდებულესობის მიერ ჩემს ქვეყანაში აღდგენილ მშვიდობასა და სიმშვიდეს მთელი ჩემი შეძლებით გავუფრთხილდე და ჩემი ქვეყნის საწინააღმდეგოდ მიმართულ შფოთსა და არეულობაში, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, საიდუმლოდ თუ ცხადად, არა მარტო საქმით, არამედ შეგონებით ანდა სხვა რაიმე სახის შეგულიანებით, ქმედებითა და განზრახვით არ ჩავერიო. როგორც კი შევიტყობ მისი უდიდებულესობის ინტერესებისთვის ან საერთო სარგებლობისთვის ზიანის მიყენების შესახებ, არა მარტო დროულად განვაცხადებ, არამედ ყველა ღონეს ვიხმარ, რომ თავიდან აცილება შევძლო და არ და-ვუშვა მათი აღსრულება, როგორც შეშვენის და ევალება მისი საიმპერატორო უდიდებულესობის ხელისუფლების ერთგულ და მშვიდობისმოსურნე მოქალაქეს.

დაე, ყოველივე ამისთვის ღმრთისა და მისი საშინელი სამსჯავროს წინაშე პირნათელი წავრს-დგე, რაშიც სულიერადაც და ხორციელადაც უფალი ღმერთის შემწეობის იმედი მაქვს. ჩემი ფიცის ბოლოს კი ვემთხვევი სიტყვებსა და ჯვარს მაცხოვრისა ჩემისა. ამინ.

<sup>2</sup> Полное Собрание законовъ Российской Имперіи, съ 1649 года. Томъ XXVI: 1800-1801. СПб.: Въ Типографіи II Отдѣленія Собственной Его Императорскаго Величества Канцеляріи, 1830. С. 583-584. თარგმნა თამარ ფანცულაიამ, რედაქტორი – ბერი გიორგი(რუსადე).